საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ,

გაცნობებთ, რომ შპს „საგზაო" (ს/კ 419993029) გეგმავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელის ტერიტორიაზე ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) მოწყობასა და ექსპლუატაციას. აღნიშნული საწარმო მოემსახურება, ამავე საწარმოს განთავსების ზონაში მოქმედ, სხვა იურიდიული პირების დაქვემდებარებაში არსებული ასფალტის წარმოებებს, კერძოდ უზრუნველყოფს მათ მომარაგებას ნედლეულით, რაც თავისმხრივ შეამცირებს სოფელში ტრანსპორტირების ინტენსივობას. დაგეგმილი სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს წარმადობა დაახლოებით უდრის 50 000 ტონა (ანუ 30 000 $მ^3$) ინერტული მასალების გადამუშავებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი" საფუძველზე. დაგეგმილი საქმიანობა (ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს მოწყობა და ექსპლუატაცია) მიეკუთვნება კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, კერძოდ: პუნქტი 5.1. – „სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება".

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქმიანობა ექვემდებარება კოდექსის მე-7 მუხლით გაწერილ სკრინინგის პროცედურას. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე წინამდებარე ანგარიში მოიცავს:

- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა მიმდინარე საქმიანობა გზშ-ს პროცედურას.

პატივისცემით,

შპს „საგზაო"-ს დირექტორი
ნანა შამათავა

GEORGIA "SAGZAO" LTD * 419993029 * საქართველო. შპს "საგზაო"

№ 5603
"15" 03 2022
11:01:37
03